



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში შესყიდვის ელექტრონული პროცედურის საშუალებით სერვერებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაცია

(წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის N321 დადგენილების საფუძველზე)

1. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომელიც ადასტურებს ბიუჯეტის წინაშე პრეტენდენტის დავალიანების არ არსებობას.

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომელიც ადასტურებს, რომ პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმის წარმოება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

1.2. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ ეტაპის შემდეგ.

1.3. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს, 2.1.4. ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად.

2. ზოგადი ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ

2.1. შესყიდვის ობიექტი და ტექნიკური აღწერილობა

2.1.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განზრახული აქვს, სერვერებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების (თანმდევრი მომსახურებით) – (შემდგომში - საქონელი) შესყიდვა. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი.

2.1.2. პრეტენდენტებს შეუძლიათ გამოხატონ შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის ინტერესი შემდეგი ფორმით: ერთიან ელექტრონულ სისტემაში განცხადების გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, თავდაცვის სამინისტროს კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ წერილი ინტერესის გამოხატვის თაობაზე (დანართი N2-ის შესაბამისად), რომელსაც უნდა დაურთონ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა (ფორმა N4). აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნას ინტერესის გამოხატვისათვის განსაზღვრული ვადის (5 სამუშაო დღე) ბოლო დღის 18:00 საათამდე, არასაიდუმლო ფორმით. დაგვიანებით წარმოდგენილი წერილები არ განიხილება.

2.1.3. ინტერესის გამოხატვისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, შემსყიდველი უზრუნველყოფს შესყიდვის ელექტრონულ პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადაცემას დაინტერესებული პირისათვის, საიდუმლო წესით.

2.1.4. ელექტრონული ვაჭრობის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, უმდაბლესი ფასის წარმომდგენმა კომპანიამ, საიდუმლო წესის დაცვით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში უნდა წარმოადგინოს:

- განფასება
- ინფორმაცია, ტექნიკური მახასიათებლების შესახებ

2.1.5. წინამდებარე დოკუმენტაციის 2.1.4. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, საიდუმლო წესის დაცვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენილობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას შესყიდვის ელექტრონული პროცედურიდან და შემსყიდველი მიმართავს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს.

2.1.6. პრეტენდენტი ვალდებულია მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგინოს დაზუსტებული დოკუმენტაცია.

2.1.7. მიმწოდებელი, შემსყიდველთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესაბამისი ნებართვების მოპოვებას/შეთანხმებას შესაბამის უწყებებთან.

2.2. სავარაუდო ღირებულება:

2.2.1. ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტებმა უნდა დააფიქსირონ მისაწოდებელი საქონლის ჯამური ღირებულება, რომელიც გამოსახული უნდა იყოს პირობით ერთეულებში.

2.2.2. მისაწოდებელი საქონლის ჯამური ღირებულება (დღგ-ს გათვალისწინებით), არ უნდა აღემატებოდეს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მითითებულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას.

2.3. ანგარიშსწორების პირობები:

2.3.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი ხელმოწერიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

2.3.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

2.3.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

2.4. მიწოდების ვადა:

მიმწოდებლის მხრიდან, ტექნიკური საშუალებების მიწოდება უნდა განხორციელდეს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) თვის ვადაში, ხოლო თანმდევრი მომსახურების გაწევა, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, მის მიერ ტექნიკური საშუალებების მიწოდებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.5. შესყიდვით ელექტრონული პროცედურის შეჩერება / შეწყვეტა

2.5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების გაფორმებამდე ნებისმიერ დროს შეაჩეროს / შეწყვიტოს შესყიდვის ელექტრონული პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით.

2.5.2. წინამდებარე დოკუმენტაციის 2.5.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, შემსყიდველი არ არის ვალდებული პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულებები და დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შეჩერების / შეწყვეტის გადაწყვეტილება.

3. ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოსადგენი დოკუმენტი

ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტმა უნდა ატვირთოს მხოლოდ საკუთარი რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია დანართი N1-ის შესაბამისად.

4. დოკუმენტის გაცნობის უფლება

4.1. შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილე ნებისმიერ პრეტენდენტს, უფლება აქვს გაეცნოს ამავე შესყიდვის ელექტრონულ პროცედურასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, მათ შორის: პრეტენდენტ(ებ)ის მიერ, შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილ დოკუმენტებს, შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

4.2. პრეტენდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე დოკუმენტაციის 4.1. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გაცნობა, შესყიდვის ელექტრონული პროცედურისათვის სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭებიდან მომდევნო სამი სამუშაო დღის ვადაში. დოკუმენტების გაცნობა განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის იურიდიულ მისამართზე.

4.3. წინამდებარე დოკუმენტაციის 4.2. პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პრეტენდენტისთვის დოკუმენტების გაცნობა, მოთხოვნისათვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან, გონივრულ ვადაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული გარემოება უნდა დადასტურდეს ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი ოქმით.

4.4. პრეტენდენტის მიერ დოკუმენტების გაცნობის მოთხოვნა არ აჩერებს ამავე შესყიდვის ელექტრონული პროცედურებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამუშაოების მიმდინარეობას.

შენიშვნა:

შემსყიდველს უფლება აქვს დოკუმენტაციის დაზუსტება, მხოლოდ ერთხელ მოსთხოვოს პრეტენდენტს. მოთხოვნილი დაზუსტებული დოკუმენტაციის, 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, წარმოუდგენლობა ან/და არასრულყოფილად წარმოდგენა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას შესყიდვის ელექტრონული პროცედურიდან.

შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობით და წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ტექნიკური პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

შესყიდვის ელექტრონულ პროცედურასთან დაკავშირებული დამატებით ინფორმაცია და განმარტებები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირ(ებ)ისგან: ქ. თბილისი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, გენ. გ. კვინიტაძის ქ. N20. გიორგი პაქსაშვილი (ელ. ფოსტა: gpaksashvili@mod.gov.ge), ტელ: +995 032 2 91 12 83, (შიდა 24-61).

5. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები (პროექტი)

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის წარმოდგენილი წინადადების შესაბამისად (შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ტექნიკური პირობებით განსაზღვრული მოთხოვნათა დაცვით)

ქ. თბილისი

« ____ » « _____ » 2017 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ----- სახით და მეორე მხრივ, ----- (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ----- სახით, ხოლო ორივე ერთად შემდგომში წოდებული, როგორც მხარეები, შევთანხმდით შემდეგზე:

წინამდებარე ხელშეკრულება იდება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის #321 დადგენილების მე-7 მუხლის საფუძველზე.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - “ხელშეკრულება”) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „სამუშაო დღე“ – კალენდარული დღე შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.
- 1.5. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.6. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.7. „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ----- (CPV00000000 - -----) – (შემდგომში - „საქონელი“) შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან, ტრანსპორტირებასთან და შემსყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (დღგ-ს გათვალისწინებით), მოსაკრებელსა და სახდელს.
- 3.2. საქონლის ერთეულის ფასი და რაოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი ---ით.

4. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

- 4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი, წინამდებარე ხელშეკრულებითა და ხელშეკრულების დანართი ---ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- 4.2. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა მიერ შეთანხმებულ ხარისხს, ხოლო ასეთი შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში შესყიდვის განხორციელების მიზნის შესაბამის ხარისხს. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს სრულიად ახალი.
- 4.3. მიმწოდებელი ვალდებულია განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა კითხვაზე.
- 4.4. მიმწოდებელი ვალდებულია დაუყონებლივ გამოსაწეროს შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი ხარვეზი.
- 4.5. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობისა და ფორმის შესაბამისად.

5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 5.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა:

5.1.1 საქონლის მიწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უხარისხო, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. თუ მიმწოდებელს შემსყიდველისაგან მიღებული აქვს ავანსი და ამ ხელშეკრულებას ამოეწურა ვადა, მათ შორის შეწყდა ვადამდე, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში დაუბრუნოს შემსყიდველს ავანსი (მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებული და შესრულებული ნაწილის გამოკლებით);

5.3. თუ მიმწოდებელი 5.2. პუნქტის შესაბამისად არ დაუბრუნებს შემსყიდველს ავანსს, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს თავისი, როგორც საბანკო გარანტიის ბენეფიციარის უფლებები, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.4. პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან შეინარჩუნოს ეს ხელშეკრულება;

5.4.2. მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს საქონლის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო საქონლის იმ ნაწილზე, რომელიც არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაარიცხოს პირგასამტეხლო ამ მუხლის შესაბამისად;

5.5. შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით მიმწოდებლისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა, გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე.

5.6. დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.

5.7. დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება მხარის მიერ ვალდებულების შესრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, იმის მიხედვით თუ ამ გარემოებებიდან რომელი უფრო ადრე დადგება.

5.8. ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ (არაჯეროვნად) შესრულებისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 10%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის სასარგებლოდ ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში და ადგილზე უნდა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდება.

6.2. საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ----- კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, 2017 წლის დაფინანსების ფარგლებში.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი ხელმოწერიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

7.4. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

7.5. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი), მიმწოდებლის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი გარანტიის საფუძველზე, საბანკო გარანტიის შესაბამისი თანხის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 50%-ისა.

7.6. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია, უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს და მისი მოქმედების ვადა, არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

7.7. წინასწარ (ავანსად) გადარიცხული თანხის დაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, კერძოდ, მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულებიდან დაუკავდება თანხის ის პროცენტული ოდენობა, რამდენი პროცენტიც აქვს მიღებული ავანსად ხელშეკრულების ღირებულების ჯამური ოდენობიდან.

7.8. თუ გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე შესრულდა, გარანტიის (მათ შორის შესრულების ვალდებულების ნაწილში) მოქმედების ვადა შესაძლებელია ვადამდე შეწყდეს ან შემცირდეს, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის ვალდებულების შესრულების დადასტურების შემთხვევაში.

7.9. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) განხორციელდება, მიმწოდებლის მიერ საბანკო გარანტიის წარდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მიწოდებული საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს:

8.2.1. ----- _ შესრულების ვადების, მიწოდების ადგილის, მიღება-ჩაბარების, საქონლის ხარისხის, რაოდენობის (მოცულობის) და საგარანტიო მომსახურების პირობების კონტროლის ჩაბარების საკითხებზე.

8.4. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

9.2. ფორს-მაჟორში იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის და რომლის თავიდან აცილება მხარეს არ შეეძლო, კერძოდ, საომარი მდგომარეობა, საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, სახანძრო სამსახურის მიერ შემსყიდველის მხრიდან თანხის გადახდის თაობაზე გაგზავნილი მოთხოვნის დაკმაყოფილების შეჩერება ან უარყოფა, საბიუჯეტო ასიგნების შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებები.

9.3. თუ ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელია ვალდებულების შესრულება, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა ფორს-მაჟორის დადგომიდან, აცნობოს შემსყიდველს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, სათანადო მიზეზების მითითებით. მოცემულ ვადაში შეუტყობინებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. ფორს-მაჟორის ფაქტი და მისი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ვალდებულების შეუსრულებლობასთან უნდა დადასტურდეს დოკუმენტალურად.

9.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.

9.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს ----- ჩათვლით.

11. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

11.1. მიმწოდებლის მიერ საქონლის გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (ხელშეკრულების 8.2.1. ქვეპუნქტში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

11.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, საქონლის მიწოდების თარიღად ჩაითვლება შემსყიდველისთვის საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი.

11.3. საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი არ წარმოადგენს საქონლის საბოლოოდ მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს და არ წარმოშობს ანგარიშსწორების ვალდებულებას.

11.4. შემსყიდველი (ხელშეკრულების 8.2.1. ქვეპუნქტში მითითებული პირები) უფლებამოსილია დროებით შენახვაზე მიღებული საქონლის ნიმუშ(ებ)ი, ხოლო პარტიებათ მიწოდებულ საქონელზე, ყოველი პარტიიდან მიწოდებული საქონლის ნიმუშ(ებ)ი, ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, საქონლის დროებით შენახვაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ გადააგზავნოს შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში რის შესახებაც უნდა აცნობოს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტს.

11.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით შენახვაზე შემსყიდველისათვის გადაცემული საქონლის ნიმუშ(ებ)ი, ხოლო პარტიებათ მიწოდებულ საქონელზე, ყოველი პარტიიდან მიწოდებული საქონლის ნიმუშ(ებ)ი, ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაჩქარებული წესით დადგენის მიზნით, საქონლის დროებით შენახვაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შემსყიდველთან (ხელშეკრულების 8.2.1 ქვეპუნქტში მითითებული პირები) შეთანხმებულ შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში საქონლის ნიმუშ(ებ)ის ტრანსპორტირების და საექსპერტო კვლევის ხარჯებს იხდის მიმწოდებელი.

11.6. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი საქონლის ან მისი ნაწილის მიღებაზე, თუ იგი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

11.7. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან, აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

11.8. საქონლის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 მხარეებს შორის ყველა დავა და უთანხმოება, წარმოქმნილი ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით.

12.2. თუ მოლაპარაკების შედეგად მხარეები გონივრულ ვადაში ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, დადგენილი წესით, შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. გარანტია

13.1. მისაწოდებელი საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს ----- წელს, რომელიც აითვლება მიღებაჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.

13.2. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ვადის განმავლობაში, შემსყიდველის წარმომადგენლ(ებ)ის ან მოწვეული ექსპერტ(ებ)ის მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების 8.2.1. ქვეპუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში მოახდინოს წუნდებული ნივთის შეცვლა ახლით. თუ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში არ შეცვლის წუნდებულ ნივთს, იგი ვალდებულია დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი თანხა, მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

13.3. საქონლის წუნში იგულისხმება უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი, ქარხნული წუნი, ნორმალური ექსპლოატაციის და/ან შენახვის პირობებში ხელშეკრულებით განსაზღვრული მახასიათებლების ან სხვა საექსპლოატაციო თვისებების დაკარგვა და ა.შ.

13.4. საგარანტიო პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები ძალაშია მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადისა.

14. დასკვნითი დებულებები

14.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.2. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმების საფუძველზე.

14.3. შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულებას და იგი წარმოადგეს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14.4. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

14.5. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით, დადგენილი წესის შესაბამისად.

14.6. ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით და ეხება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის არსებულ ურთიერთობას, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ---- იდენტურ ეგზემპლარად.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები